ევროკავშირის ქვეყნების ტურიზმის განვითარების პოლიტიკა

ლალი მიქელაძე
სტუ-ს დოქტორანტი
E-mail: lalitourizm@gmail.com

რეზიუმე

სტატიაში ნაჩვენებია ევროკავშირის ქვეყნებში ეკონომიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგის ტურიზმის განვითარების პოლიტიკა, რომელსაც ახორციელებს ევროკომისია თავისი სტრუქტურული ფონდების საქმიანობის საშუალებით. ასევე ნაჩვენებია ტურიზმის დარგში ევროპის პოლიტიკის საკითხების მარეგულირებელი მთავარი საკანონმდებლო აქტები, რომლის საფუძველზეც ევროკავშირი აქტიურად ახორციელებს ტურისტული საქმიანობის კოორდინაციას და ამასთან არ ერევა თითოეული მონაწილე ქვეყნის ეროვნულ პოლიტიკაში.

საკვანძო სიტყვები:
ევროკავშირი
ტურიზმი
პოლიტიკა
ევროკომისია
ფონდი
აქტები

შესავალი

XX საუკუნის პირველ ნახევარში ევროპამ ორი მსოფლიო ომი გადაიტანა, რამაც ყველა ქვეყანაში დატოვა კვალი ათეულ მილიონობით მსხვერპლი, განადგურებული ქალაქები, დანგრეული ეკონომიკა, მოშლილი კომუნიკაციები. ევროპის სახელმწიფოებმა დაიწყეს გზებისა და საშუალებების ძიება მომავალში მშვიდობიანი თანაარსებობის გარანტიებისათვის. მათ თანდათან გააცნობიერეს ერთიანობისა და მჭიდრო თანამშრომლობის იდეა და დაადგნენ პრინციპულ პოლიტიკას, რომლის მიზანი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაცია, მშვიდობა და უშიშროება იყო. ევროპა არის რეგიონი, რომელსაც ყველაზე ხშირად სტუმრობენ მსოფლიოში, იგი საერთაშორისო ჩამოსვლებით 52%-ით ლიდერობს და რეგიონის ამ კუთხით 5%-იანი ზრდა არის შესანიშნავი შედეგი ხოლო რაც შეეხება, ტურიზმის შემოსავლებს იგი გაიზარდა 4%-ით და მიაღწია 489$ მილიარდ დოლარს და საბოლოოდ შეადგინა მსოფლიო შემოსავლების დაახლოებით 42%.

ევროკავშირის ქვეყნების ტურიზმის განვითარების პოლიტიკა

ევროკავშირი 28 დემოკრატიული სახელმწიფოს უნიკალური პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანებაა, რომელიც მიზნად ისახავს მშვიდობის, კეთილდღეობისა და თავისუფლების უზრუნველყოფას მისი 500 მილიონი მოქალაქისთვის, უფრო სამართლიან და უსაფრთხო სამყაროში. იგი მუდმივად განავითარებს სტრუქტურას, რომელსაც ისტორიული პრეცედენტი არ გააჩნია. ევროკავშირის ძირითად კანონმდებლობას წარმოადგენს წევრი ქვეყნების მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულებები. ეს ხელშეკრულებები საფუძველს უყრის ევროკავშირის პოლიტიკას, აფუძნებს მის ინსტიტუციონალურ სტრუქტურას, საკანონმდებლო პროცედურებს და უფლებამოსილებებს. ამ ხელშეკრულებების მაგალითია: 1957 წლის ევროპის ეკონომიკური გაერთიანების რომის ხელშეკრულება, 1986 წლის ერთიანი ევროპული აქტი, 1992 წლის მაასტრიხტის ხელშეკრულება, 1997 წლის ამსტერდამის ხელშეკრულება და 2007 წლის ლისაბონის ხელშეკრულება.[1]

ევროკავშირის ისტორიულმა გაფართოებამ საშუალება მისცა სახელმწიფოთა ამ დიდ გაერთიანებას, გადაედგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი ევროპის კონტინენტზე უსაფრთხოების და სტაბილურობის ხელშეწყობის საქმეში. ევროკავშირი ცდილობს არ დაუშვას ახალი გამყოფი ხაზების წარმოქმნა ევროპაში და ხელს უწყობს სტაბილურობის და კეთილდღეობის გავრცელებას როგორც, ახალი საზღვრით შემოფარგლულ ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ევროკავშირი არის მრავალსექტორიანი ინტეგრაციის განვითარებული ფორმა, რომლის კომპეტენცია ვრცელდება ევროპის 28 სახელმწიფოს ეკონომიკაზე, მრეწველობაზე, მოქალაქეთა უფლებებზე, საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე. ევროპულ ხელშეკრულებათა დადებისას წევრი სახელმწიფოები სუვერენიტეტის ნაწილს გადასცემდნენ იმ დამოუკიდებელ ინსტიტუტებს, რომლებიც იცავენ ეროვნულ და

საერთო ინტერესებს. ევროკავშირის გამგებლობაშია, კერძოდ, საერთო ეკონომიკური ბაზარი, საბაჟო კავშირი, ერთიანი ვალუტა, საერთო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა და სხვა.

ევროზონა (ინგლ. ეროზონე), ასევე ევროსისტემა ან ევროლენდი რეგიონი, რომელიც მოიცავს ქვეყნებს, რომელთა ოფიციალურ ვალუტად ევრო ითვლება. ამ სახელმწიფოებს ევროს მონეტებისა და ბანკნოტების გამოშვების უფლება აქვთ. ამ ზონაში მონეტარულ პოლიტიკას ევროპის ცენტრალური ბანკი ატარებს.

2007 წლისთვის ევროზონაში შემდეგი ქვეყნები შედიოდა: ავსტრია, ბელგია, გერმანია, საბერძნეთი, ირლანდია, ესპანეთი, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდი, სლოვენია, პორტუგალია, ფინეთი, საფრანგეთი. შემდეგი ქვეყნები ევროკავშირის წევრები არ არიან, თუმცა ევროს მონეტების გამოშვების უფლება აქვთ: ვატიკანი, სან-მარინო, მონაკო. 2008 წლის 1 იანვარს ევროზონაში შევიდნენ.კვიპროსი და მალტა. 2009 წლის 1 იანვარს ევროზონას შეუერთდა სლოვაკეთი, 2011 წლის 1 იანვარს – ესტონეთი, ხოლო 2014 წლის 1 იანვარს – ლატვია.

შენგენის ზონაში შედის ევროპის 26 სახელმწიფო, რომლებმაც 1985 წელს ქალაქ შენგენში (ლუქსემბურგი) ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას. შენგენის ზონა ჰგავს ერთგვარ სახელმწიფოს, რომელიც შეიქმნა საერთაშორისო ტურისტულ ზონისათვის, რომლის გარე საზღვრები მკაცრად კონტროლდება, ხოლო შიგნით საპასპორტო შემოწმება არ ხორციელდება.

ეს წესები შეიმუშავა 1999 წლის ევროკავშირის ქვეყნების ამსტერდამის შეხვედრამ. გარდა ამისა შენგენის ხელშეკრულება მოქმედებს სამ ევროკავშირის არაწევრ ქვეყანაში: ისლანდიაში, ნორვეგიასა და შვეიცარიაში და დეფაქტოდ სამ მიკრო-სახელმწიფოში: მონაკოში, სან-მარინოში და ვატიკანში. ევროკავშირის ყველა ქვეყანამ გარდა დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის, შეასრულა დანაპირები და შევიდა შენგენის ზონაში. გამონაკლისია კვიპროსი, რუმინეთი და ბულგარეთი, რომლებიც უახლოეს მომავალში შევლენ კავშირში. ამ დროისათვის შენგენის ხელშეკრულება მოიცავს: 25 ქვეყანას, 4 312 099 კვ. კმ. და 400 მილიონ მოსახლეს.

შენგენის ხელშეკრულებამ დაადგინა რომ შიდა, სახელმწიფოებს შორის საზღვრები გაუქმებულიყო. ხოლო გარე საზღვრები გამაგრებულიყო. ასევე ქვეყნები ვალდებულნი არიან რომ ერთიანი პილიტიკა შეიმუშავონ მიგრანტების მიმართ, რაც მოითხოვს მონაცემთა საერთო ბაზისა და საერთო საპოლიციო-სასამართლო სისტემის შექმნას.

შეთანხმება და კონვენცია, შენგენის აღმასრულებელი კომიტეტის დეკლარაციებთან და გადაწყვეტილებებთან ერთად, ქმნიან შენგენის კანონმდებლობას. ამსტერდამის ხელშეკრულების პროექტის შექმნისას გადაწყდა, რომ 1999 წლის 1 მაისიდან შენგენის შეთანხმება გადავიდოდა ევროპის კავშირში, რადგანაც იგი ერთიანი ბაზრის ერთ-ერთ ყველაზე მთავარ ამოცანასთან – პირთა თავისუფალ გადაადგილებასთანაა დაკავშირებული.

ამ მიზნით, მინისტრების საბჭომ შენგენის კანონმდებლობა მიაკუთვნა ან ევროპის გაერთიანებების დამფუძნებელი ხელშეკრულების მეოთხე თავს (ვიზები, თავშესაფარი, იმიგრაცია და პირთა თავისუფალი გადაადგილება) ან ევროპის კავშირის ხელშეკრულების მეექვსე თავს (სისხლის სამართლის საქმეებში პოლიციისა და სასამართლოს თანამშრომლობა).

საერთაშორისო ტურიზმი უკვე დიდი ხანია აღარ არის სოციალური მოვლენა, ის ხდება განუყოფელი ნაწილი მსოფლიო ეკონომიკური სისტემის. ტურიზმი ყველაზე სწრაფად მზარდი ინდუსტრიაა მსოფლიო ეკონომიკაში.

ტურიზმის სტატისტიკისა და მიმდინარე ტენდენციების ანალიზის მიზნით მსოფლიო დაყოფილია 6 ტურისტულ რეგიონად (გაერთიანებული ერების მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია-UNWTO)-ევროპა, ამერიკა, აღმოსავლეთ აზია და წყნარი ოკეანის აუზი, სამხრეთ აზია, აფრიკა,ახლო აღმოსავლეთი.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისების მიუხედავად ევროპა კვლავ რჩება ლიდერ ტურისტულ რეგიონად. ტურიზმსი ევროპის დომინანტურ პოზიციას განაპირობებს სემდეგი ფაქტორები:

1. მოცემული რეგიონი შედგება პატარა ზომის, გეოგრაფიულად ერთმანეთტან ახლოს მდებარე ეროვნული სახელმწიფოებისგან.
2. რეგიონი მჭიდროდ დასახლებულია, მოსახლეობის თავისუფალი სახსრები მეტია.
3. რეგიონს კარგად აქვს განვიტარებული ინფრასტრუქტურა, ტურისტული ინდუსტრია.
4. რეგიონი მრავალფეროვანია ტურისტული დესტინაციებით.

ტურიზმი ევროპის ეკონომიკის ძალზე მნიშვნელოვანი ნაწილია. ევროკავშირის წევრი ქვეყნების ტურიზმის ინდუსტრია არის ეკონომიკის დარგთაშორისი სექტორი, რომელიც მრავალი კონტრაგენტისა და ტურიზმის შუამავლების საქმიანობას აერთიანებს და პირდაპირ ან არაპირდაპირ არის დაკავშირებული ტურისტულ მომსახურებასთან. ევროპის ტურიზმის ინდუს-

ტრია, სახალხო მეურნეობის ტურიზმის მომიჯნავე დარგების (ვაჭრობის, ტრანსპორტის, საზკვების და ა. შ.) ჩაუთვლელად, ქმნის ევროკავშირის წევრი ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტის 4%-ზე მეტს. ტურიზმის ინდუსტრია, აგრეთვე ეროვნულ ეკონომიკათა მომიჯნავე სექტორები უზრუნველყოფს გაფართოებული ევროკავშირის შრომისუნარიანი მოსახლეობის 12%-ის დასაქმებას, რაც შეადგენს 24 მილიონ სამუშაო ადგილს. ტურიზმი, სხვა სიკეთესთან ერთად, ხელს უწყობს ევროკავშირის მრავალრიცხოვანი რეგიონების განვითარებას. ამ რეგიონებში ტურისტული მიზნებისთვის შექმნილი ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს ახალი სამუშაო ადგილების გაჩენას, რაც თავისთავად გავლენას ახდენს ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონეზე.

გარდა ეკონომიკური სარგებელისა, ტურიზმი უდიდეს სოციალურ გავლენას ახდენს ევროპული საზოგადოების ცხოვრებაში. ტურიზმის, როგორც სოციალური მოვლენის წარმატება იმაში მდგომარეობს, რომ მას საფუძვლად უდევს ადამიანის მუდმივი მოთხოვნილების – გარემომცველი სამყაროს შეცნობის – დაკმაყოფილება. ტურიზმი პირველ რიგში ხალხი და მათი ერთმანეთთან ურთიერთობაა. ამგვარად, ტურიზმი ხელს უწყობს ევროკავშირის წევრ ქვეყნების შორის კულტურათაშორისი ურთიერთობების ჩამოყალიბებას, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ევროპის ერთიან კულტურულ-ისტორიული ორგანიზმად აღქმის პროცესს.[2]

ყოველივე ზემოთთქმული მიუთითებს იმაზე, რომ ტურიზმის ინდუსტრიას დიდი წვლილი შეაქვს ევროკავშირის ეკონომიკაში. თუმცა, დიდი მნიშვნელობა აქვს იმის გარკვევას, თუ რას აკეთებს ევროკავშირი და მისი სტრუქტურები მონაწილე ქვეყნების ტურიზმის განვითარებისათვის. წარმოდგენილია თუ არა ევროკავშირი ერთიანი ტურისტული პროდუქტით საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე თუ ეს არის დამოუკიდებელი ტურისტული პროდუქტების კომპლექსი, რომელსაც ყოველი წევრი ქვეყანა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ქმნის? არის თუ არა ევროკავშირის ტურიზმის განვითარების პოლიტიკა ერთიანი ყველა მონაწილე ქვეყნის მიმართ თუ მათ გააჩნიათ სრული დამოუკიდებლობა ამ საკითხში? ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ტურიზმის დარგში ევროკავშირის პოლიტიკის განვითარების მიმართულებების განსაზღვრა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ევროპის ეკონომიკისათვის ტურიზმის ინდუსტრიის მნიშვნელობისა და სისტემაწარმომქმნელი ხასიათისა, ევროკავშირის ფარგლებში არ არსებობს ოფიციალური ინსტიტუტი, რომლის დანიშნულება იქნებოდა მონაწილე ქვეყნებში ტურიზმის განვითარების საკითხების გაძღოლა. ეს მოვალეობა ეკისრება ევროკავშირის უმაღლეს აღმასრულებელ ორგანოს – ევროკომისიას. ევროკომისია თავისი სტრუქტურული ფონდების საქმიანობის საშუალებით ახორციელებს ევროკავშირის ქვეყნებში ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებულ საქმიანობას. ევროკავშირის სტრუქტურული ფონდები არის ევროპის ყველაზე ნაკლებად განვითარებული რეგიონების ტურიზმის ინდუსტრიაში ინვესტიციების ჩადების უდიდესი წყარო; ესენია ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნების ჯგუფი). ევროკავშირის მთავარ სტრუქტურულ ფონდებს, რომლებიც აქტიურად უწყობენ ხელს ტურიზმის განვითარებას, განეკუთვნება შემდეგი ფონდები[3]:

- ევროპის რეგიონული განვითარების ფონდი;
- ევროპის სოციალური ფონდი;
- ევროპის სოფლის მეურნეობის მართვის ფონდი;
- ევროპის მოგზაურობათა კომისია;
- ევროპის საინვესტიციო ბანკი, და სხვა.

ევროპის რეგიონული განვითარების ფონდი აფინანსებს ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტებს, დებს ინვესტიციებს ახალი სამუშაო ადგილების შექმნაში და ცალკეული ტერიტორიების განვითარების პროექტების განხორციელებაში, ფინანსურ დახმარებას უწევს მცირე საწარემოებს. მისი საქმიანობა მოიცავს მრავალ სფეროს: ტრანსპორტის, კომუნიკაციის ტექნოლოგიებს, კვლევებსა და ინოვაციებს, სოციალურ ინფრასტრუქტურას, პროფესიულ მომზადებას, ქალაქებისა და სოფლების ეკონომიკის პროფილის სტრუქტურულ შეცვლას და სხვ.

ტურიზმის სფეროში დასაქმების პოლიტიკის წარმართვაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ევროპის სოციალური ფონდი. ის აფინანსებს პროექტებს, რომელთა მიზანია კადრების მომზადება და გადამზადება შრომის წარმადობის გასაზრდელად. როგორც ნაწილი ამ ფონდის საქმიანობის ფარგლებში ხორციელდება აგრეთვე ევროკავშირის ქვეყნებში მცირე ტურისტული საწარმოების საქმიანობის ხელშეწყობა. ეს მოქმედება სასიკეთოდ მოქმედებს ეკონომიკური საქმიანობის გაძლიერებაზე და მოსახლეობის დასაქმების დონის ამაღლებაზე.

ევროპის სოფლის მეურნეობის მართვის

ფონდი აფინანსებს სოფლის განვითარების ღონისძიებებს და ახორციელებს ნატურალურ წარმოებაში დასაქმებული მოსახლეობის დახმარებას, მათ შორის, ხელს უწყობს სასოფლო და ეკოლოგიურ ტურიზმს.

ასევე აღსანიშნავია არაკომერციული ორგანიზაცია – ევროპის მოგზაურობათა კომისია. ამ ორგანიზაციის წევრია ევროპის ქვეყნების 39 ეროვნული ტურისტული ორგანიზაცია. ევროპის მოგზაურობათა კომისიის მთავარი დანიშნულებაა ტურიზმის განვითარება როგორც კონტინენტის ცალკეულ რეგიონებში, ისე მთელ ევროპაში.

ტურიზმის დარგში ევროპის პოლიტიკის საკითხების მარეგულირებელი მთავარი საკანონმდებლო აქტებია:

- კონფერენციის – „ევროპული ტურიზმის მომავალი" – რეზოლუცია, რომელიც მიღებულ იქნა 2002 წლის მაისს ბრიუსელში;
- ლისაბონის სტრატეგია ტურიზმის განვითარებისა და დასაქმების ზრდის სფეროში (2005 წლის თებერვალი);
- ევროპული ტურიზმის მდგრადი განვითარებისა და ტურისტული პოლიტიკის განახლების კონფერენციის დასკვნითი დებულებები (2005 წლის აპრილი, ბრიუსელი);
- ტურიზმის მდგრადი განვითარების ჯგუფის ანგარიში (2006 წ., ბრიუსელი);
- ტურიზმის მინისტრების კონფერენციის საბოლოო დებულებები (2007 წლის მაისი, პოტსდამი);
- ევროპის ტურიზმის მდგრადი განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის საკითხების დღის წესრიგი, მიღებული ევროკომისიის მიერ 2007 წლის ოქტომბერში ევროპული ტურიზმის ფორუმზე ალგარვაში, პორტუგალია.[4]

ყველა ზემოჩამოთვლილ დოკუმენტს არ აქვს პირდაპირი იურიდიული ძალა მონაწილე ქვეყნებში, მათი დანიშნულებაა ევროკავშირის ქვეყნებში ტურიზმის განვითარების კოორდინაცია. ამგვარად, შეგვიძლია დარწმუნებით ითქვას, რომ ევროკავშირი აქტიურად ახორციელებს ტურისტული საქმიანობის კოორდინაციას და ამასთან არ ერევა თითოეული მონაწილე ქვეყნის ეროვნულ პოლიტიკაში, უტოვებს მათ მოქმედების სრულ თავისუფლებას ეროვნული ტურისტული პროდუქტების შექმნისა და საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე წინსვლის პროცესში. ევროკავშირის ტურიზმის პოლიტიკა მიზნად ისახავს მონაწილე ქვეყნების ტურიზმის განვითარების კოორდინაციას. კავშირი განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის ძირითად პრინციპებს ამ ქვეყნებში ტურიზმის ზრდის დონის უზრუნველსაყოფად:

- ტურისტების და მათი თავისუფალი გადაადგილების დაცვა, რაც მოიცავს საზღვრებზე პოლიციური და საბაჟო კონტროლის გამარტივებას; ტურისტების უსაფრთხოების გაუმჯობესებას და მათ დაცვას არაკეთილსინდისიერი რეკლამისაგან; ტურისტების დაზღვევის პოლიტიკის ჰარმონიზაციას; მათ ინფორმირებას მათი სოციალური უფლებების შესახებ;
- ტურიზმის ინდუსტრიის სფეროში საქმიანობის წესების ჰარმონიზაცია: საგადასახადო პოლიტიკის ჰარმონიზაცია ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყნებში; კვალიფიკაციის დონის და პროფესიული მომზადების დიპლომების ორმხრივად აღიარება;
- ტურიზმის რეგიონული განვითარება იმ მიზნით, რომ მასში უფრო აქტიურად ჩაერთონ კავშირის ნაკლებად განვითარებული რეგიონები, რომელთაც ტურისტული პოტენციალი გააჩნიათ.

ევროკავშირის წევრი ქვეყნების ტურისტული წარმატება საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე შეიძლებას აიხსნას არა მარტო წარმატებული პოლიტიკით ევროპულ დონეზე, არამედ უფრო იმით, რომ მონაწილე ქვეყნები ატარებენ ადგილობრივ დონეზე ეროვნული პროდუქტების განვითარებისა და დანერგვის წარმატებულ პოლიტიკას. ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმეტესობაში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, იქმნება ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციები, რომლებიც ჩართული არიან ტურიზმის განვითარების ეროვნული პროგრამების შემუშავებაში. ამ ტურისტულ ადმინისტრაციებს შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა სახელწოდება (Turespana – ესპანეთში, British Tourist Authority – დიდ ბრიტანეთში, ENIT – იტალიაში, Maison de la France – საფრანგეთში და ა. შ.), მაგრამ ამ ეროვნული ინსტიტუტების ხასიათი და მუშაობის არსი ძალიან ჰგავს ერთმანეთს. სწორედ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციები ახორციელებენ ტურისტული პროდუქტების შემუშავებას და დანერგვას საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე.ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციები, როგორც წესი, იმყოფება პირდაპირ ქვეშ შესაბამისი სამინისტროს (ტურიზმის სამინისტროს, ეკონომიკის სამინისტროს და ა. შ.) დაქვემდებარებაში, რომელიც კოორდინაციას უწევს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციების საქმიანობას.

მარკეტინგის განყოფილება ახორციელებს შემდეგი სახის საქმიანობას:

- მარკეტინგული პროგრამების შემუშავება;

- მარკეტინგული კვლევა;
- PR-საქმიანობა;
- სარეკლამო კამპანიების ჩატარება, და ა.შ.

ეროვნული ტურისტული პროდუქტის დანერგვის განყოფილება თავის საქმიანობაში მჭიდროდ თანამშრომლობს მარკეტინგის განყოფილებასთან და ახორციელებს საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე მისი ქვეყნის წარმატებული საქმიანობის მხარდაჭერის პოლიტიკას. ეროვნული ტურისტული პროდუქტის დანერგვის ხელშეწყობა ხორციელდება საზღვარგარეთის ქვეყნებში ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციების წარმომადგენლობების მეშვეობით, რომლებიც ადგილზე ხელმძღვანელობენ თავისი ქვეყნის როგორც მიმზიდველი სამოგზაურო ადგილის წინსვლას ტურისტულ საქმიანობაში.

საზღვარგარეთის ოფისებთან მუშაობის განყოფილებები ახორციელებენ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციების წარმომადგენლობების საქმიანობის კოორდინაციას. თავის მხრივ, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციების წარმომადგენლობების მთავარი მიზანია საიმიჯო რეკლამების ორგანიზაცია და თავისი მიმართულების პოპულარიზაცია საზღვარგარეთ. ეროვნული ადმინისტრაციების უცხოური წარმომადგენლობების საქმიანობაში შედის:

- ტურისტული ბაზრობებში და გამოფენებში მონაწილეობა;
- საინფორმაციო მუშაობა;
- წორკსჰოპ-ების ორგანიზაცია;
- სხვადასხვა სახის ღონისძიებების ჩატარება, და ა. შ.

საინფორმაციო განყოფილება ახორციელებს ეროვნული ტურისტული პროდუქტის პოტენციური მომხმარებელის (ტურისტების) ინფორმაციით უზრუნველყოფას. საინფორმაციო დეპარტამენტის ძირითადი მოვალეობებია:

- საინფორმაციო და სარეკლამო მასალების (ბროშურების, კატალოგების, გზამკვლევების და ა. შ.) გამოცემა;
- სარეკლამო კამპანიების ჩატარება ყველა სახის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში;
- ეროვნული ტუროპერატორების თანამშრომლების სასწავლო კურსების ორგანიზაცია, და ა. შ.

საინვესტიციო განყოფილება ახორციელებს თანხების მოზიდვას ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის. საინვესტიციო განყოფილება აქტიურად მუშაობს არა მხოლოდ სახელმწიფო, არამედ კერძო ინვესტორებთანაც, რომელთა მრავალი ფინანსური პრივილეგიების წყალობით ხალისით დებენ ინვესტიციებს ტურისტულ ინფრასტრუქტურაში.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციები დღეს უკვე გვევლინება ძალზე ეფექტურ და ქმედით ორგანიზაციებად ტურისტების მოზიდვისათვის კონკურენტულ ბრძოლაში. ამგვარად, შეიძლება გაკეთდეს მკაფიო დასკვნა, რომ ევროკავშირის პოლიტიკა ტურიზმის სფეროში ეფუძნება ტურიზმის დარგის განვითარების ეროვნულ თავისებურებებს და არ ახვევს თავს ტურიზმის განვითარების საერთო ევროპულ წესებს. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი გამოდის როგორც ერთიანი საერთაშორისო წარმონაქმნი, ერთიანი საგარეო პოლიტიკით, უნდა ვაღიაროთ, რომ საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე ევროკავშირი წარმოდგენილია 27 სხვადასხვა ტურისტული პროდუქტით, რომლებიც ერთმანეთთან აწარმოებენ შეუპოვარ კონკურენტულ ბრძოლას ტურისტების მოსაზიდად.

დასკვნა

ევროკავშირი ახორციელებს ყოველგვარ მხარდაჭერას, მათ შორის ფინანსურსაც, მონაწილე ქვეყნების ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების საქმეში. მიუხედავად ამისა, ევროკავშირის პოლიტიკა ტურიზმის განვითარების სფეროში აგებულია ეროვნული ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების მიმართულებების თავად მონაწილე ქვეყნების მიერ არჩევანის სრული დამოუკიდებლობის პრინციპზე. განვითარების სხვადასხვა დონის ტურისტული ინფრასტრუქტურის მქონე ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის რეგიონთაშორისი თანამშრომლობის უამრავი პროგრამები ეხმარება ნაკლებად განვითარებული ინფრასტრუქტურის ქვეყნებს ახალი ტექნოლოგიების დანერგვაში მათი ტურისტული პროდუქტის კონკურენტუნარიანობის გასაძლიერებლად, რაც დადებითად მოქმედებს ევროკავშირის ქვეყნებში ტურისტთა ნაკადის შემოსვლაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მეტრეველი მ., ტურიზმის ეკონომიკა და პოლიტიკა. თბ., 2011.

2. ბერიშვილი ხ., საერთაშორისო ტურიზმის ბიზნესი. თბ., 2012.

3.Гайдукевич Л.М. Международный туризм в системе взаимодействия стран

Центральной и Восточной Европы в конце XX - начале XXI в. - Минск:-2007

4.World Tourizm Organization - Calli Caitan Haya2015-S pain

5..UNWTO-World Tourizm Barometer-2015-Dec.-barom@unwto.org

6..www. unwto. org/pub

7..http://europa.eu

http://www.un.org/ru/

POLICY OF DEVELOPMENT OF TOURISM OF THE EUROPEAN UNION COUNTRIES

LALI MIKELADZE
PhD of GTU
E-mail: lalitourizm@gmail.com

Summary

The article demonstrates the EU economy is one of the priorities in the field of tourism development policy, which is implemented by the European Commission on its activities through the Structural Funds. Also shown in the field of tourism policy in the European regulatory legal acts, which the EU has been implementing and coordinating tourism activities will not interfere with each participating country's national politics.